Helios Energy
Here Comes the Sun

Helios Energy
Here Comes the Sun

როგორ გავწმინდოთ პანელები?

რას გვირჩევს მწარმოებელი?

დროთა განმავლობაში მზის პანელის მინის ზედაპირზე შესაძლოა დაგროვდეს ჭუჭყი და მტვერი, რაც ამცირებს ელ-ენერგიის გამომუშავებას. ჩვენი მწარმოებელი JA Solar-ი გვირჩევს პანელების პერიოდულ დასუფთავებას ელ-ენერგიის მაქსიმალური გამომუშავების უზრუნველსაყოფად.

რას გვირჩევს მწარმოებელი?

რეკომენდირებულია

VS

- პანელის მინის ზედაპირზე შეხებისას სუფთა ხელთათმანის გამოყენება, ზედაპირზე თითის ანაბეჭდების ან ჭუჭყის თავიდან ასაცილებლად
- წმენდისას შეგიძლიათ გამოიყენოთ ყველა სახის რბილი ქსოვილები, უქსოვი ქსოვილები (Non-woven), რბილი ღრუბლები, რბილი ჯაგრისები და სხვა.
- გამოიყენეთ ყველა სახის კომერციული მინის საწმენდები, შესაბამისი სითხეები, ალკოჰოლი, ასევე შეიძლება გამოიყენოთ ეთანოლი ან მეთანოლი.

შენიშვნა:

- გამწმენდი წყლის წნევა უნდა იყოს 690 კპა-ზე ნაკლები.
- ჯაგრისების სპეციფიკაცია: **მასალა** - ნეილონის მავთულის ჯაგრისი (nylon wire 1010); **მავთულის დიამეტრი** - 0.1 – 0.06მმ (არაარეკვლადი მასალით დაფარული მინის ზედაპირის მქონე პანელისთვის/anti-reflection coated glass, referred to as ARC-glass)

არ არის რეკომენდირებული

- დაუშვებელია ლითონის ხელსაწყოების გამოყენება, როგორიცაა დანები, ფოლადის მატყლი და სხვა მძიმე მასალები.
- არ გამოიყენოთ აბრაზიული ფხვნილები, აბრაზიული გამწმენდები, ხისტი ჯაგრისი, საპრიალებელი, ნატრიუმის ჰიდროქსიდი, ბენზინი, ნიტრო გამხსნელები, მჟავები ან ტუტეები.
- არ არის რეკომენდირებული მაღალი მინერალური შემცველობის წყლის გამოყენება, რადგან გაშრობის შემდეგ დატოვებს ლაქებს.
- არ გამოიყენოთ ორთქლი ან აგრესიული ქიმიკატები დასუფთავების დასაჩქარებლად.
- ნუ შეეცდებით გატეხილი პანელის მინების გაწმენდას, რომელსაც გაწყვეტილი სადენები აქვს, რადგან ამან შეიძლება გამოიწვიოს ელექტროშოკი.
- დასუფთავებისას ნუ იდგებით ან იჯდებით მინაზე.

როდის უნდა გავწმინდოთ პანელები?

- პანელების მინის გაწმენდა უნდა მოხდეს დილით, საღამოს, ღამით ან წვიმიან დღეებში.
- როცა გაწმენდას გადაწყვეტთ, შეარჩიეთ ისეთი დრო, როცა მზე ძლიერად არ ანათებს.

პანელების გაწმენდის ციკლის დაგეგმვა

ფართო მასშტაბიანი მზის სადგურის შემთხვევაში უმჯობესია წმენდის ციკლის დაგეგმვა:

- დაყოთ მზის სადგური სექციებად და ეტაპობრივად გაწმინდოთ
- სადგური უნდა დაიყოს შემადგენელი წრედების მიხედვით

აუცილებელია გაიწმინდოს ყველა ის ხელსაწყო, რომელიც შემკვრელ ყუთს და ინვერტორს უერთდება.

სამი ნაბიჯი პანელების გაწმენდისთვის

- პანელზე **მხოლოდ** მშრალი მტვრისა და ფოთლების არსებობის შემთხვევაში გამოიყენეთ რბილი ჯაგრისი ან მშრალი ქსოვილი. თუ მზის სადგური განთავსებულია მშრალ ადგილას, სადაც ბევრი მტვერი და ნაკლები წყალია, რეკომენდირებულია გამოიყენოთ აირი მტვრის მოსაშორებლად.
- თუ სხვადასხვა უცხო ნივთიერებებთან გვაქვს საქმე - ჭუჭყი, ფრინველის ნარჩენები, მცენარეთა ტოტები, ფოთლები და სხვ. - პანელი უნდა გაიწმინდოს უქსოვი ქსოვილით (non-woven fabric) ან რბილი საწმენდი ჯაგრისით.
- აუცილებელია გარეცხვა თუ პანელის ზედაპირზე არის ფერადი ნივთიერებები, ფრინველის ნარჩენები, მცენარეული სითხეები და ასე შემდეგ. თუ ჭუჭყი წლით არ გაიწმინდა, გამოიყენეთ ნაჭერი. ზეთოვანი სითხის დროს შეგიძლიათ გამოიყენოთ წყალი, რომელსაც სპირტი ექნება შერეული. საჭიროების შემთხვევაში შეგიძლიათ სხვადასხვა მინის საწმენდი სითხეები გამოიყენოთ.



თოვლისგან გაწმენდა

JA Solar-ის პანელები შექმნილია იმისთვის, რომ გაუძლოს დიდი რაოდენობით თოვლის დატვირთვას.

თუ თქვენ გჭირდებათ პანელის თოვლისგან გადაწმენდა, შეგიძლიათ გამოიყენოთ საწმენდი ჯაგრისი, ან ჰაერის ნაკადი, მაგრამ ყინულის ფენის შემთხვევაში ნუ ეცდებით მის მოშორებას, ამან შესაძლოა პანელი დააზიანოს

დაგვიკავშირდით

Facebook
Helios Energy

Youtube
Helios Channel

Email
contact@helios.ge

Phone
596 15 00 02